კანონპროექტების დაჩქარებული განხილვა საქართველოს პარლამენტში

საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ

შესავალი

მას შემდეგ, რაც 2020 წლის 22 მაისს გაუქმდა ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა, საქართველოს პარლამენტში ინიცირებული თითქმის ყოველი მეორე კანონის პროექტი დაჩქარებული წესით განიხილება.

დაჩქარებული წესით კანონის პროექტის განხილვა დემოკრატიულ სახელმწიფოში, როგორც წესი, შეზღუდულ შესაძლებლობას წარმოადგენს და მხოლოდ და მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობისთვის შემონახული მექანიზმია, რომლის გარეშეც მოსაწესრიგებელ სფეროს კონკრეტული დროის დაგვიანებამ შესაძლოა, კონკრეტული ზიანი მიაყენოს.

სხვა ყველა შემთხვევაში კანონპროექტები, რომლებიც თავისი კონსტიტუციური დანიშნულებიდან გამომდინარე, შეეხება ადამიანებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის და ურთიერთობების ძირითად მომწესრიგებელ საკითხებს, მიიღება კანონის მიღების ჩვეულებრივი რიტმით, რაც აუცილებლად გულისხმობს წარმოდგენილი კანონპროექტების არსებით და სიღრმისეულ განხილვას და ასევე, მასში სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობას, რომლებიც არ არიან პარლამენტის წევრები, თუმცა, მათ პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხებათ წარმოდგენილი კანონპროექტი, ან კიდევ, გამოხატავენ ექსპერტულ მოსაზრებებს მასთან დაკავშირებით.

ძირითადი მიგნებები

დაჩქარებული წესით კანონპროექტების განხილვა 2020 წლის 22 მაისიდან დღემდე შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით გამოვლინდა:

- სულ დარეგისტრირდა 25 კანონპროექტი პარლამენტში; ამათგან, თითქმის ნახევარზე - 12 კანონპროექტზე დაჩქარებული წესით განხილვა იყო მოთხოვნილი.
- ინიციატორების 12 მოთხოვნიდან, კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ, მხოლოდ 4 შემთხვევაში იყო კანონპროექტის განმარტებით ბარათში მოცემული დაჩქარების კონკრეტული და გონივრული მიზეზი[1]. დარჩენილ 8 შემთხვევაში დაჩქარების საჭიროებად ძირითადად გამოყენებული იყო თავად კანონპროექტით მოსაწესრიგებელი საკითხის მნიშვნელობა და მისი მასშტაბები, რაც შეიძლება ნებისმიერი კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას მიესადაგოს.
- დაჩქარებული განხილვის მოთხოვნები, რომელიც წარდგენილია მთავრობის და საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მიერ, ყველა შემთხვევაში დააკმაყოფილა პარლამენტის ბიურომ.

[1] თითეოული კანონპროექტის დეტალური შეფასება და მიმოხილვა იხილეთ წარმოდგენილ დანართში.

- არცერთ შემთხვევაში ბიუროს არ წარმოუდგენია მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება, თუ რატომ დააკმაყოფილა დაჩქარებული განხილვის მოთხოვნა.
- 12 შემთხვევიდან ერთადერთ შემთხვევაში წარიმართა კონსულტაციები კანონპროექტის მომზადების ეტაპზე: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ნავთობპროდუქტების აირების დაბეგვრის არსებული მოდელის სრულყოფასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში არსებული კონსულტაცია სამინისტროსთან ცალსახად დადებითი მიდგომის აღმნიშვნელია, თუმცა, აღნიშნული კანონპროექტის შემთხვევაშიც კი, კონსულტაციები არ წარიმართა იმ ძირითად სუბიექტებთან, რომლებზეც პირდაპირ იმოქმედებს კანონპროექტი. სხვა არცერთ შემთხვევაში, კონსულტაციები კანონპროექტის მომზადების ეტაპზე, რომელიც დაჩქარებული განხილვის ერთერთი ძირითადი კომპონენტია, არ გამართულა დაინტერესებულ პირებთან, ვისაც კანონპროექტში შემოთავაზებული მოწესრიგება ეხება პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- კანონპროექტები ყველა შემთხვევაში დაჩქარებული განხილვის ვადების დაცვით წარიმართება, არაუმეტეს ორი მოსმენის ჩანიშვნით ერთ დღეში და პლენარულ განხილვამდე, მას ყოველთვის ახლავს შესაბამისი წამყვანი კომიტეტის დასკვნები.
- დაჩქარებული განხილვა შეეხო ძირითადად ჯანდაცვის, განათლების და საგადასახადო სფეროში არსებულ საკითხებს. ერთი შეხედვით, ეს ის საითხებია, რომლებიც სწორედ პანდემიურ ვითარებაში იწვევს გადაუდებელი განხილვის აუცილებლობას, თუმცა, რეალურად, საკითხები არ ეხება პანდემიას, მოსაწესრიგებლად არის მნიშვნელოვანი, თუმცა, კონკრეტულ მოკლე დროში რატომ უნდა დაჩქარდეს ამ საკითხების განხილვა, შესაბამისი არსებითი განხილვისა და დებატების გარეშე არ ჩანს არც თავად განმარტებით ბარათებში, არც თავად ცვლილებათა შინაარსში.

დანართი

დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტების მიმოხილვა

I. კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის დასაბუთებული მოთხოვნები:

ოთხ შემთხვევაში კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა დასაბუთებული იყო. მისი საფუძველი უკავშირდებოდა და პირდაპირ გამომდინარეობდა პანდემიისგან, მაგალითად:

1. უმღალესი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები, რომელიც დაჩქარებულად განიხილებოდა, უკავშირდებოდა უმაღლესი დაწესებულებებისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგებას - მათთვის სტუდენტური სტატუსის უზრუნველყოფის მიზნით. განმარტებითი ბარათით ნათლად არის ჩამოყალიბებული დაჩქარებულად განხილვის მიზეზი, რომ ავტორიზაციის ვადის გასვლით დაწესებულებას ერთმევა საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება და შესაბამისად არსებითად ზარალდება როგორც მისი, ასევე იმ სტუდენტთა ინტერესები, რომლებიც სწავლობენ აღნიშნულ დაწესებულებაში. აკრედიტაციის ვადის გასვლისას კი პროგრამები ხორციელდება მხოლოდ ავტორიზებულ რეჟიმში (თუ დაწესებულებას იმავდროულად არ გასდის ავტორიზაციის ვადა), რაც, მოქმედი კანონმდებლობით ამ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს ართმევს შესაძლებლობას ისარგებლოს სახელმწიფო გრანტით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, კანონმა მიმდინარე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვადები გადაავადოს.

   აღნიშნული გადავადების აუცილებლობა გამოწვეულია ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან, კერძოდ არსებული შეზღუდვების ფონზე, ცენტრი ვერ ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასებას ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით, ასევე ვერ ხორციელდება გარკვეული საგანმანათლებლო პროგრამების (მაგალითად: მედიცინა, სტომატოლოგია, ინჟინერია, საბუნებისმეტყველო) შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით. კანონმდებლობა ითვალისწინებს ავტორიზაციის პროცესში საერთაშორისო ექსპერტის სავალდებულო ჩართულობასაც, რაც, ამ ეტაპზე უზრუნველყოფილი ვერ იქნება. ამავე მიზანს ემსახურება ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაზრდა, რადგან დადგენილ ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილად ჩატარება შეუძლებელია. კანონპროექტის არსებითი ნაწილი ზემოაღნიშნული პრობლემის აღმოფხვრას ემსახურება.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დაწესებული შეზღუდვების შედეგად სახელოვნებო, შემოქმედებითი და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე, სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეფერხდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსების ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე მომზადებისა და ჩატარების პროცედურები. კანონის პროექტით კი, ცვლილება შედის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და 2020 წელს მოიხსნება ხსენებულ

საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად აბიტურიენტების მიერ კონკურსების ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გავლის პირობა. როგორც დანართშიც არის მითითებული, ამ პროექტის განხილვის ხარვეზი იყო ჩართულობის ნაკლებობა[2], თუმცა, დაჩქარების საფუძვლები იყო დასაბუთებული.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში ცვლილებების შესახებ კანონების პროექტები აწესებდა ადმინისტრაციულ სამართლებრივ პასუხისმგებლობას პირბადის ტარების წესის დარღვევისთვის, ხოლო სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იზოლაციისა და კარანტინის წესების განმეორებით ისეთი დარღვევისთვის, რომელსაც შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვეს. ამავდროულად ცვლილებები ამსუბუქებდა იგივე კანონდარღვევებისთვის საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს იმავე საკანონმდებლო აქტებით დაწესებულ პასუხისმგებლობის ზომებს. ვინაიდან საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ უნდა შემსუბუქებულიყო საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებით დაწესებული პასუხისმგებლობის ზომები, აუცილებელი იყო, კანონების პროექტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი რეგულაციები დაუყოვნებლივ ამოქმედებულიყო. შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტების დაჩქარებული განხილვა იყო დასაბუთებული.

4. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილების პროექტით შესაძლებელი ხდებოდა მაუწყებლისა და ადმინისტრაციული ორგანოს - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანამშრომლობით საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამების საზოგადოებისთვის მიწოდების უზრუნველყოფა. იგულისხმება „ტელესკოლის“ მსგავსი პროგრამების მიწოდება. მოქმედი კანონით იკრძალება საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება ადმინისტრაციული ორგანოს, პოლიტიკური პარტიის, თანამდებობის პირისა და საჯარო დაწესებულების მიერ, გარდა ამავე კანონით დაწესებული გამონაკლისებისა. ცვლილებით კი წესდება დამატებითი გამონაკლისი საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამებისთვის.

   კანონპროექტის განხილვა დაჩქარებული წესით განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით: როგორც ცნობილია, 2019–2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში საქართველოში სასწავლო პროცესი შეჩერდა საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით. ამ პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე მოქმედებდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული დროებითი წესები, რომლებიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესის დისტანციური, ელექტრონული

[2] დეტალურად იხილეთ წარმოდგენილ დანართში, მე-10 კანონპროექტის მიმოხილვა

საკომუნიკაციო საშუალებებით განხორციელების შესაძლებლობას. ამ პერიოდში სასწავლო პროცესში დაინერგა და გამოიყენება სატელევიზიო პროგრამა „ტელესკოლა“. ეს პროგრამა საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ხორციელდებოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლობით. იმისათვის, რომ საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ კვლავ გაგრძელდეს „ტელესკოლის“ პროგრამა, კანონპროექტი ითვალისწინებს გამონაკლისს მსგავსი საგანმანათლებლო ან კულტურული პროგრამებისათვის, რათა ამ პროგრამებზე არ გავრცელდეს არსებული კანონით დადგენილი აკრძალვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მაუწყებლის დაფინანსებასთან/თანადაფინანსებასთან დაკავშირებით. ვინაიდან საგანგებო მდგომარეობა საქართველოში ამ ეტაპისათვის გაუქმებულია, იმ მიზნით, რომ „ტელესკოლის“ პროგრამა უწყვეტ რეჟიმში გადაიცემოდეს და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით კვლავ მიეწოდებოდეს შესაბამის აუდიტორიას, აუცილებელია წარმოდგენილი კანონპროექტი მიღებული იყოს დაჩქარებული წესით. წარმოდგენილი არგუმენტებით ნათელია, რომ დაჩქარებული წესით კანონპროექტის განხილვა იყო გონივრული.

II. დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტების ზოგადი მიმოხილვა

1. საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

1.1. კანონპროექტის ძირითადი არსი - ნავთობპროდუქტების აირების დაბეგვრის არსებული მოდელის სრულყოფა და სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების მობილიზების ეფექტურობის ამაღლება. მიზანია თხევადი აირების დაბეგვრის არსებულ მოდელში აღმოჩენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭიროა დაბეგვრის მოდელის შემოღება, რათა ავირიდოთ გადასახადის დაფარვა, აქციზის გარეშე იმპორტის პრაქტიკის აღმოფხვრას. საყოფაცხოვრებო და ავტომობილების მოხმარებისთვის თხევადი აირი განსხვავებულად იბეგრება მოქმედი კანონით. პრობლემა გამოიკვეთა, რომ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით შემოტანილი აირი, ოჯახების ნაცვლად მიეწოდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებს. ეს არის საკანონმდებლო ხვრელი (ანუ საყოფაცხოვრებო მიზნით ნაკლები თანხით იბეგრება თხევადი აირი). წარმოდგენილ იქნა სტატისტიკა, რომლითაც ავტომობილების მოხმარებისთვის თხევადი აირის იმპორტის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ხოლო 2019 წელს 2018 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საყოფაცხოვრებო დანიშნულებით აირის შემოტანის სტატისტიკა.

1.2. კანონპროექტის ინიციატორი - პარლამენტის წევრები: ირაკლი მეზურნიშვილი, სულხან მახათაძე

1.3. ავტორი - პარლამენტის წევრები: ირაკლი მეზურნიშვილი, სულხან მახათაძე

1.4. რეგისტრაციის თარიღი - 27 მაისი, 2020

1.5. ბიუროს გადაწყვეტილების თარიღი- 1 ივნისი, 2020

1.6. <u>დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა დაკმაყოფილდა თუ არა</u> - 1 ივნისის ბიუროს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა.

1.7. <u>თუ დაკმაყოფილდა, მოსმენების განრიგი ამ გადაწყვეტილებით</u> - პარლამენტის სხდომების ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი მოსმენით.

1.8. <u>დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები განმარტებითი ბარათის თანახმად</u> - კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა განპირობებულია სესსნ კოდზე 2901 10 000 00 განხორციელებული იმპორტის მზარდი რაოდენობა იმ ვითარებაში, როდესაც ამ კოდით განხორციელებული იმპორტი არ იბეგრება აქციზით და სახელმწიფო ბიუჯეტი კარგავს მნიშვნელოვანი ოდენობით შემოსავლებს; აგრეთვე, ერთეტაპიანი აქციზით დაბეგვრის რეჟიმის შემოღების შემთხვევაში ადმინისტრირების ეფექტურობის ოპერატიული ამაღლების შესაძლებლობა და სახელმწიფოს კუთვნილი გადასახადების სრულად, მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე მობილიზება სახელმწიფო ბიუჯეტში.

1.9. <u>კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი განმარტებითი ბარათის მიხედვით</u> - კანონპროექტი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს; ამგვარად განსაზღვრულმა ამოქმედების ვადამ საშუალება უნდა მისცეს შესაბამისი გადასახადის გადამხდელებს მოახდინონ დაბეგვრის შეცვლილ რეჟიმთან ადაპტირება.

1.10. <u>კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური ან სხვა პირდაპირი შედეგები იმ პირებისთვის, ვისზეც გავრცელდება კანონპროექტი</u> - კანონპროექტის მიხედვით იზრდება აქციზის განაკვეთი ნავთობპროდუქტების აირებზე, რაც შესაბამისად აისახება იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

1.11. <u>კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან - განმარტებითი ბარათის სრული სექცია - "გ" ქვეპუნქტი</u> - არ ეწინააღმდეგება არცერთ სექციას.

1.12. <u>კანონპროექტის მიღების პროცესში მიღებული კონსულტაციები - განმარტებითი ბარათის სრული სექცია "დ"</u> - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

1.13. <u>წამყვანი კომიტეტის დასკვნა</u> - საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნით, თხევად აირზე აქციზის გაზრდამ თუ გამოიწვია საყოფაცხოვრებო აირის ფასის ზრდა, ეკონომიკის სამინისტროს განმარტებით, სახელმწიფო მოახდენს აღნიშნული სხვაობის სუბსიდირებას. კომიტეტმა აღნიშნულზე მოითხოვა მთავრობის პოზიცია. კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს იმ პირობით, რომ განხილვის პროცესში მიღებული იქნება შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების დეტალური ანალიზი. კანონპროექტის მესამე მოსმენაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა დადებითი დასკვნა გასცა. გამოქვეყნებულ მასალებში მოიპოვება მთავრობის წერილი, რომელიც იუწყება, რომ მთავრობა სუბსიდირების საკითხის ინიცირებას მთავრობის უახლოეს სხდომაზე მოახდენს.

1.14. <u>იმ კომიტეტის დასკვნა, რომელიც სავალდებულოა</u> - არ ახლავს

1.15. <u>რა ეტაპზეა კანონპროექტის განხილვა</u> - კანონპროექტი მიღებულია მესამე მოსმენით 12 ივნისის სხდომაზე. გამოქვეყნდა 19 ივნისს.

შეფასება:

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის აუცილებლობა დაუსაბუთებელია. კანონპროექტის ინიცირების მიზანი იყო საგადასახადო კოდექსის რეგულირებაში აღმოჩენილი ხარვეზი, რომელიც საშუალებას იძლეოდა აქციზის გადასახადისთვის გვერდის ავლით, მანიპულირებით, თხევადი აირის იმპორტირებას, რის გამოც ბიუჯეტი კარგავდა შემოსავალს. ერთი შეხედვით ეს არის მნიშვნელოვანი მიზანი საიმისოდ რომ სწრაფად მომხდარიყო კანონპროექტის განხილვა. თუმცა, განხილვისა და კამათის საგანი, სხვა საკითხებთან ერთად, გახდა ის, აღნიშნული ცვლილების მიღება ხომ არ გააძვირებს თხევადი აირის ფასს მოსახლეობისთვის. რამდენიმე დეპუტატი მოითხოვდა საკითხის განხილვის გადადებას, მისი უფრო სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, რაც არ იქნა გათვალისწინებული.

2. [საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ]

2.1. კანონპროექტის ძირითადი არსი - წინამდებარე კანონის პროექტის თანახმად, ცვლილება ხორციელდება კანონის შესაბამის მუხლებში და ჩანაწერი „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“, იცვლება „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანით“, რაც უზურნველყოფს ერთიანი ზოგადი ტერმინოლოგიის დამკვიდრებას და კანონის დანართის ცხრილის 33-ე გრაფის შესაბამისობაში მოყვანას. კანონპროექტს ახლავს 5 გამომდინარე კანონპროექტი.

2.2. კანონპროექტის ინიციატორი - პარლამენტის წევრები: რატი იონათამიშვილი, ზაზა გაბუნია, მერაბ ქვარაია, გოგა გულორდავა.

2.3. ავტორი - პარლამენტის წევრები: რატი იონათამიშვილი, ზაზა გაბუნია, მერაბ ქვარაია, გოგა გულორდავა.

2.4. რეგისტრაციის თარიღი - 27 მაისი, 2020

2.5. ბიუროს გადაწყვეტილების თარიღი - 1 ივნისი, 2020

2.6. დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა დაკმაყოფილდა თუ არა - 1 ივნისის ბიუროს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა.

2.7. თუ დაკმაყოფილდა, მოსმენების განრიგი ამ გადაწყვეტილებით - პარლამენტის სხდომების ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი მოსმენით.

2.8. დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები განმარტებითი ბარათის თანახმად - კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საკანონმდებლო დონეზე არსებული ხარვეზის გამო ამ დრომდე ვერ ხერხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო რეგულარული გადაყვანის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა და სტაბილური განხორციელება. ამ მიმართულებით არსებული საკანონმდებლო ბაზის ხარვეზი კი თავის მრივ მთელ რიგ სირთულეებს ქმნის რათა ჩვენს მოსახლეობას მიეწოდოს სისტემურად გამართული სერვისი სამგზავრო გადაყვანის კუთხით. ეს უკანასკნელი კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომლებიც სარგებლობენ საზოგადოებრივი დანიშნულების ტრანსპორტით. შეიძლება ითქვას რიგ შემთხვევებში მოსახლეობის

ეკონომიკური აქტივობაც კი დამოკიდებულია ტრანსპორტის ხელმისაწვდომობაზე განსაკუთრებით კი მაღალმთიან რეგიონებში. სწორედ ამიტომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია წარმოდგენილი კანონპროექტის მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მიღება, რათა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანოებმა, ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყონ სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

2.9. <u>კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი განმარტებითი ბარათის მიხედვით</u> - კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე. კანონპროექტი არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭებას.

2.10. <u>კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური ან სხვა პირდაპირი შედეგები იმ პირებისთვის, ვისზეც გავრცელდება კანონპროექტი</u> - კანონპროექტი არ არის დაკავშირებული ფინანსურ შედეგებთან.

2.11. <u>კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან - განმარტებითი ბარათის სრული სექცია - "გ" ქვეპუნქტი</u> - ყველა პუნქტში მითითებულია, რომ არ ეწინააღმდეგება სტანდარტებს.

2.12. <u>კანონპროექტის მიღების პროცესში მიღებული კონსულტაციები - განმარტებითი ბარათის სრული სექცია "დ"</u> - კონსულტაციები გავლილი არ არის.

2.13. <u>წამყვანი კომიტეტის დასკვნა</u> - საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა 2020 წლის 8 ივნისის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების: რატი იონათამიშვილის, გოგა გულორდავას, ზაზა გაბუნიას და მერაბ ქვარაიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ", „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ". კომიტეტმა წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი მომზადებულად მიიჩნია საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისათვის. ზუსტად იდენტურია წამყვანი კომიტეტის დასკვნა მეორე მოსმენის შემდეგაც. ზუტად იდენტურია წამყვანი კომიტეტის დასკვნა მესამე მოსმენის შემდეგაც.

2.14. <u>იმ კომიტეტის დასკვნა, რომელიც სავალდებულოა</u> - იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მიღება მიზანშეწონილია, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მის მიზანია აღმოიფხვრას საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს კანონის ნორმების ერთმანეთთან

მიმართებით იკვეთება. თუმცა სამართლებრივი ტექნიკის კუთხით საკანონმდებლო ინიციატივის მიმართ კომიტეტს აქვს შემდეგი შენიშვნა: საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით შემოთავაზებულ ნორმებს მოიცავს ასევე 2020 წლის 19 თებერვალს ინიციირებული საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და ამ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტები (N07-2/447; 19.02.2020). ამდენად, ნორმათა „ურთიერთგადაფარვის“ თავიდან აცილების მიზნით, ეს საკითხი დამატებით მსჯელობას საჭიროებს. კომიტეტმა გასცა დადებითი დასკვნა.

2.15. <u>რა ეტაპზეა კანონპროექტის განხილვა</u> - კანონპროექტი მიღებულია მესამე მოსმენით 12 ივნისის სხდომაზე. გამოქვეყნდა 19 ივნისს.

<u>შეფასება:</u>

კანონპროექტის დაჩქარებულად განხილვა დაუსაბუთებელია, ვინაიდან განმარტებითი ბარათის შესაბამის პუნქტში ინიციატორის მიერ მითითებული პასუხი არ პასუხობს დასმულ შეკითხვას, არ განმარტავს დაჩქარების აუცილებლობას.

3. <u>„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილება</u>

<u>3.1. კანონპროექტის ძირითადი არსი</u> - აღნიშნული კანონპროექტი მიზნად ისახავს შემდეგი პრობლემების გადაჭრას: 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 564 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიმართებით ავტორიზაციაზე უარის თქმა ან ავტორიზაციის გაუქმება იწვევს კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს - დაწესებულება ვერ მოიპოვებს ან კარგავს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს. შესაბამისად, მოქმედი რედაქციით, ხელახალ ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, საგანმანათლებლო სტატუსის მქონე დაწესებულება, მიმდინარე ავტორიზაციის დარჩენილი ვადის მიუხედავად, კარგავს აღნიშნულ სტატუსს და ვეღარ ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას. ხსენებული კანონით დეტალურად არ არის განსაზღვრული გადაწყვეტილებების სამართლებრივი შედეგი დაწესებულებისა და სტუდენტებისათვის. 2. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების სამართლებრივი შედეგები, ავტორიზაციის მსგავსად, არ არის დეტალურად რეგულირებული და ერთმანეთისგან გამიჯნული. სტუდენტის სტატუსის დაუყოვნებლივ შეჩერება აკრედიტაციის გაუქმების ან ხელახალ აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, ანალოგიურად ლახავს სტუდენტის უფლებას.

პროექტის მიხედვით: 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 564 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შედეგების დეტალურ რეგულირებას. დეტალურად არის გაწერილი, თუ რა სამართლებრივი შედეგი დადგება როგორც დაწესებულებებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის და იმ

აბიტურიენტებისთვის, რომლებიც ჩაირიცხნენ მსგავს პროგრამაზე, კერძოდ ასეთ შემთხვევაში: ა) დაწესებულება ვერ მოიპოვებს ან კარგავს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან; ბ) საგანმანათლებლო დაწესებულება საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში აგრძელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც საგანმანათლებლო დაწესებულებას ეზღუდება აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა/სტუდენტთა/დოქტორანტობის კანდიდატთა მიღების უფლება. საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს მხოლოდ არსებული სტუდენტებისთვის განაგრძოს სასწავლო პროცესი საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებული ვადით; გ) სტუდენტებს აქვთ არჩევანის უფლება - საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადით გააგრძელონ სწავლა იმავე საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან ისარგებლონ მობილობის უფლებით და გადავიდნენ სხვა შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამავე უფლებით სარგებლობენ აბიტურიენტები, მაგისტრანტობის კანდიდატები რომლებიც ჩაირიცხნენ შესაბამის დაწესებულებაში. სტუდენტების უჩერდებათ სტატუსი შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში. კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების სამართლებრივი შედეგების დეტალურ რეგულირებას. ავტორიზაციის გაუქმებისა და ავტორიზაციაზე უარის თქმის ანალოგიურად არის გაწერილი უმაღლესი პროგრამების აკრედიტაციის გაუქმებისა და აკრედიტაციაზე უარის თქმის შედეგები როგორც დაწესებულებების, ასევე სტუდენტებისთვის, აბიტურიენტებისა, მაგისტრანტობის და დოქტორანტობის კანდიდატებისთვის.

3.2. კანონპროექტის ინიციატორი - მთავრობა

3.3. ავტორი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

3.4. რეგისტრაციის თარიღი - 27 მაისი, 2020

3.5. ბიუროს გადაწყვეტილების თარიღი - 1 ივნისი, 2020

3.6. დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა დაკმაყოფილდა თუ არა - 1 ივნისის ბიუროს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა.

3.7. თუ დაკმაყოფილდა, მოსმენების განრიგი ამ გადაწყვეტილებით - პარლამენტის სხდომების ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი მოსმენით.

3.8. დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები განმარტებითი ბარათის თანახმად - წარმოდგენილი კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის აუცილებლობა გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ რიგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას გასდის ვადა. ერთ-ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მიმდინარე ავტორიზაციის ვადა გასდის 2020 წლის 12 ივლისს და მომდევნო თვეებში. ხოლო რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, ნაწილ მათგანს უკვე ამოწურული აქვს აკრედიტაციის ვადები, ნაწილს კი ეწურება მომდევნო თვეებში. გასათვალისწინებელია, რომ ავტორიზაციის ვადის გასვლით დაწესებულებას

ერთმევა საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება და შესაბამისად არსებითად ზარალდება როგორც მისი, ასევე იმ სტუდენტთა ინტერესები, რომლებიც სწავლობენ აღნიშნულ დაწესებულებაში. აკრედიტაციის ვადის გასვლისას კი პროგრამები ხორციელდება მხოლოდ ავტორიზებულ რეჟიმში (თუ დაწესებულებას იმავდროულად არ გასდის ავტორიზაციის ვადა), რაც, მოქმედი კანონმდებლობით ამ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს ართმევს შესაძლებლობას ისარგებლოს სახელმწიფო გრანტით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, კანონმა მიმდინარე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვადები გადაავადოს. აღნიშნული გადავადების აუცილებლობა გამოწვეულია ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან, კერძოდ არსებული შეზღუდვების ფონზე, ცენტრი ვერ ახორციელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასებას ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით, ასევე ვერ ხორციელდება გარკვეული საგანმანათლებლო პროგრამების (მაგალითად: მედიცინა, სტომატოლოგია, ინჟინერია, საბუნებისმეტყველო) შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით. გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს ავტორიზაციის პროცესში საერთაშორისო ექსპერტის სავალდებულო ჩართულობას, რაც, ამ ეტაპზე უზრუნველყოფილი ვერ იქნება. ამავე მიზანს ემსახურება ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაზრდა, რადგან დადგენილ ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილად ჩატარება შეუძლებელია. კანონპროექტის არსებითი ნაწილი ზემოაღნიშნული პრობლემის აღმოფხვრას ემსახურება.

3.9. <u>კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი განმარტებითი ბარათის მიხედვით</u> - წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია კანონის ძალაში შესვლა მისი გამოქვეყნებისთანავე იმის გათვალისწინებით, რომ ის პრობლემები, რომლის გადაჭრასაც კანონპროექტი ისახავს მიზნად, მიზანშეწონილია აღმოფხვრილ იქნეს უახლოეს პერიოდში.

3.10. <u>კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური ან სხვა პირდაპირი შედეგები იმ პირებისთვის, ვისზეც გავრცელდება კანონპროექტი</u> - კანონპროექტი არ იწვევს ფინანსური შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ცვლილების თანახმად, რეგულირდება ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების საკითხები. საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებებს უხანგრძლივდებათ ავტორიზაციის/პროგრამის აკრედიტაციის ვადა. აღნიშნული ემსახურება იმ მიზანს, რომ რეგულაციამ დადებითი გავლენა იქონიოს სტუდენტებზე/მოსწავლეებზე, რომლებსაც აღარ მოუწევთ დამატებითი დროის/რესურსების ხარჯვა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების მოძიების გამო და შეეძლებათ გააგრძელონ სწავლა იგივე დაწესებულებაში შესაბამისი ვადით. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე რეგულაციით პირდაპირ ხდება სტატუსის შეჩერება, ხოლო, ცვლილებით კეთდება დათქმა, რომ თუ საბჭომ ვადა გაუხანგრძლივა დაწესებულებას და ავტორიზაცია გაუუქმა სასწავლო წლის ბოლოს, სტუდენტებს სტატუსი სწორედ ამ ვადიდან შეუჩერდებათ. შესაბამისად, საბჭოს უფლებამოსილი იქნება მოსწავლეებს და სტუდენტებს მისცეს არჩევანის შესაძლებლობა - მიმდინარე

სასწავლო წელი დაასრულონ აღნიშნულ დაწესებულებაში სადაც სწავლობდნენ, ან ისარგებლონ მობილობის უფლებით და გადავიდნენ სხვა ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დღეს მოქმედი რეგულაციით, როდესაც დაწესებულებას უუქმდება ავტორიზაცია, სტუდენტს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან უჩერდება სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით. იგივე შინაარსის რეგულაცია იმოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესშიც. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო, როდესაც აკრედიტაციის საბჭო პროგრამას არ მიანიჭებს ან გაუუქმებს აკრედიტაციას, სტუდენტებს აქაც ექნებათ შესაძლებლობა ან მიმდინარე სასწავლო წელი დაასრულონ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლებზეც სწავლობდნენ, ან გადავიდნენ სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. დღეს არსებული რეგულაციით, იმ შემთხვევაში, თუკი დაწესებულებას მიმდინარე სემესტრში უწყდებოდა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამას - აკრედიტაცია, სტუდენტებს უწევდა დამატებითი რესურსების მობილიზება, რომ გადასულიყო სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც ის ხშირ შემთხვევაში სწავლების დასრულებას ვერ ახერხებდა პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში და უწევდა სემესტრის ან აკადემიური წლის დამატება. ახალი რეგულაცია, სტუდენტს საშუალებას აძლევს მიმდინარე სასწავლო წელი დაასრულოს მის დაწესებულებაში და სასწავლო წლის დასრულების შემდგომ გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. რაც შეეხება სახელმწიფო და სამაგისტრო გრანტების საკითხს, წარმოდგენილი ცვლილებები არ იწვევს აღნიშნული საკითხების განსხვავებულად რეგულირებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო დაფინანსება არ უკავშირდება არც საგანმანათლებლო დაწესებულებას და არც საგანმანათლებლო პროგრამას. სახელმწიფო დაფინანსება ინდივიდუალურად ეძლევა სტუდენტს. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით, სტუდენტი, რომელსაც აქვს სახელმწიფო დაფინანსება, იგი ისარგებლებს ამ ავტორიზაციაგაუქმებულ დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე, ან გადაიტანს სხვა ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებები არ იწვევს სახელმწიფო გრანტისა და სამაგისტრო გრანტების რაოდენობის ცვლილებას. სახელმწიფო და სამაგისტრო გრანტებთან დაკავშირებით დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში, აქვს არჩევანის თავისუფლება - დარჩეს ავტორიზაცია გაუქმებულ დაწესებულებაში არაუმეტეს მიმდინარე სასწავლო წლისა ან მობილობით გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. შესაბამისად, სახელმწიფო დაფინანსებას სტუდენტის გავლით მიიღებს ის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელზეც არჩევანს შეაჩერებს სტუდენტი. შესაბამისად, მოქმედი რეგულაციისგან განსხვავებით, ავტორიზაციაგაუქმებულ დაწესებულებას უჩნდება შესაძლებლობა, რომ ავტორიზაციის გაუქმებისას მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება მხოლოდ იმ სტუდენტებზე, რომლებიც გადაწყვეტენ, რომ დარჩნენ ამ ინსტიტუციაში. ცვლილებების თანახმად, ხდება

დაკონკრეტება, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების ან საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში, აბიტურიენტებს, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის მიხედვით მოიპოვეს ჩარიცხვის უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შეუძლიათ ისარგებლონ მობილობის უფლებით. ასევე, მაგისტრანტობის კანდიდატებს, რომლებიც მოხვდნენ სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში, შეუძლიათ ისარგებლონ მობილობის უფლებით. აღნიშნული უფლებით აბიტურიენტები და მაგისტრანტობის კანდიდატები დღეს მოქმედი რეგულაციის მიხედვითაც სარგებლობენ. მოცემულ შემთხვევაში, საკანონმდებლო დონეზე ხდება რეგულაციის უფრო დეტალურად და მკაფიოდ გაწერა.

3.11. <u>კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან - განმარტებითი ბარათის სრული სექცია - "გ" ქვეპუნქტი</u> - ყველა პუნქტში მითითებულია, რომ არ ეწინააღმდეგება სტანდარტებს.

3.12. <u>კანონპროექტის მიღების პროცესში მიღებული კონსულტაციები - განმარტებითი ბარათის სრული სექცია "დ"</u> - კონსულტაციები გავლილი არ არის.

3.13. <u>წამყვანი კომიტეტის დასკვნა</u> - საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტებზე: ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N07-2/474, 27.05.2020). საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა 2020 წლის 3 ივნისს კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა ზემოთ აღნიშნული კანონპროექტები. კანონპროექტით ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" გაცილებით მოქნილი გახდება საბჭოების საქმიანობა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოებს, სტუდენტთა/მოსწავლეთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, ექნებათ უფლებამოსილება: ა) ხელახალ ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმდინარე ავტორიზაციის ვადის ფაქტობრივად გაზრდა არაუგვიანეს მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე; ბ) ხელახალ ავტორიზაციაზე უარის თქმასთან ერთად, აუცილებლობიდან გამომდინარე, მიმდინარე ავტორიზაციის გაუქმების შესახებ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება; გ) ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება ემთხვევა დაწყებულ სემესტრს, საბჭოს უფლება ექნება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლა დაუკავშიროს მიმდინარე წლის დასრულებას; ანალოგიურად, მოქნილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; დ) ამასთან, სტუდენტებს მიეცემათ არჩევანის საშუალება,

მიმდინარე წელი დაასრულონ ამ დაწესებულებაში/პროგრამაზე თუ ისარგებლონ მობილობით და ამ დროის განმავლობაში მიიღონ სახელმწიფო დაფინანსება ამავე პროგრამაზე. იგივენაირად გადაწყდება საკითხი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების, ასევე (ხელახალ) აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში. ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმებისას, ორი ან მეტი პროფესიული პროგრამიდან რომელიმე პროგრამა არ არის შესაბამისობაში პროგრამულ სტანდარტთან, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილი იქნება, ნაცვლად ავტორიზაციის გაუქმებისა, მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების ჩამორთმევის შესახებ. ახალი კორონავირუსის (COVID-19) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გათვალისწინებით, დაცული იქნება საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სტუდენტთა უფლებები, რადგან დადგენილ ვადამდე გაუხანგრძლივდებათ ავტორიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია. ასევე, ცენტრს ექნება საკმარისი ვადა, რათა ადმინისტრაციული წარმოება ჩაატაროს ხარისხიანად, დადგენილი პირობებისა და პროცედურების დაცვით. კანონპროექტით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კორექტირებულ იქნა მოქმედი კანონის 564 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, ასევე 66-ე მუხლის მე-4 პუნქტი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. კანონპროექტის მიღების შედეგად „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში დეტალურად იქნება რეგულირებული ის სამართლებრივი შედეგები, რომლებიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას მოჰყვება. ზემოაღნიშნულის მსგავსად, ამომწურავად იქნება გაწერილი ის სამართლებრივი შედეგები, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას მოჰყვება. კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ კანონპროექტებს და პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად ცნო.

იდენტურია მეორე მოსმენის დასკვნა

მესამე მოსმენის დასკვნა: საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტებზე: ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N07-2/474, 27.05.2020). საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა 2020 წლის 10 ივნისს კომიტეტის სხდომაზე მესამე მოსმენით განიხილა ზემოთ აღნიშნული კანონპროექტები. კანონპროექტებზე ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ მესამე მოსმენით კომიტეტის სხდომაზე განხილვისას რედაქციული ხასიათის შენიშვნები არ შემოსულა. კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ კანონპროექტებს და პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად ცნო.

3.14. იმ კომიტეტის დასკვნა, რომელიც სავალდებულოა - არ ახლავს

3.15. რა ეტაპზეა კანონპროექტის განხილვა - კანონპროექტი მიღებულია მესამე მოსმენით 12 ივნისის სხდომაზე. გამოქვეყნდა 15 ივნისს.

შეფასება:

კანონპროექტის დაჩქარებულად განხილვა დასაბუთებულია, ვინაიდან განმარტებითი ბარათის თანახმად, უკავშირდება განათლების სისტემის შეუძლებლობას ჩაატაროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცედურები, რაშიც დიდწილად პანდემია უშლის ხელს. მითითებულია იმ ზიანზე რაც სასწავლებლებსა და სტუდენტებს მიადგებათ თუკი ვერ მოესწრება ავტორიზაციის და აკრედიტაციის გადავადება.

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში ცვლილებების შესახებ კანონების პროექტები, პაკეტი

4.1. კანონპროექტის ძირითადი არსი - პროექტები აწესებს ადმინისტრაციულ სამართლებრივ პასუხისმგებლობას პირბადის ტარების წესის დარღვევისთვის, ხოლო სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იზოლაციისა და კარანტინის წესების განმეორებით ისეთი დარღვევისთვის, რომელსაც შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვეს. ამავდროულად ცვლილებები ამსუბუქებს იგივე კანონდარღვევებისთვის საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს იმავე საკანონმდებლო აქტებით დაწესებულ პასუხისმგებლობის ზომებს.

4.2. კანონპროექტის ინიციატორი - პარლამენტის წევრები ანრი ოხანაშვილი და დიმიტრი ხუნდაძე.

4.3. ავტორი - პარლამენტის წევრი ანრი ოხანაშვილი.

4.4. რეგისტრაციის თარიღი - 3 ივნისი, 2020.

4.5. ბიუროს გადაწყვეტილების თარიღი - 8 ივნისი, 2020

4.6. დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა დაკმაყოფილდა თუ არა - ბიუროს 8 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა.

4.7. თუ დაკმაყოფილდა, მოსმენების განრიგი ამ გადაწყვეტილებით - ბიურომ გადაწყვიტა, კანონპროექტები განხილული ყოფილიყო ერთ დღეს ორი მოსმენით.

4.8. დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები განმარტებითი ბარათის თანახმად - ვინაიდან საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ უნდა შემსუბუქებულიყო საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებით დაწესებული პასუხისმგებლობის ზომები, აუცილებელი იყო, კანონების პროექტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი რეგულაციები დაუყოვნებლივ ამოქმედებულიყო.

4.9. კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი განმარტებითი ბარათის მიხედვით - გამოქვეყნებისთანავე.

4.10. კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური ან სხვა პირდაპირი შედეგები იმ პირებისთვის, ვისზეც გავრცელდება კანონპროექტი - კანონპროექტი გავლენას იქონიებს იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომლებიც ჩაიდენენ ამ კანონპროექტებით განსაზღვრულ სამართალდარღვევას, კერძოდ, დაარღვევენ კარანტინისა და იზოლაციის წესს და დაეკისრებათ შესაბამისი ჯარიმა. კანონების პროექტები, ასევე, გავლენას მოახდენენ იმ პირებზე, რომლებიც ვალდებულნი იქნებიან კარანტინისა და იზოლაციის წესით დადგენილი მოთხოვნების დასაცავად შესაბამისი ღონისძიებების გატარება უზრუნველყონ.

4.11. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან - განმარტებითი ბარათის სრული სექცია - "გ" ქვეპუნქტი - არ ეწინააღმდეგება.

4.12. კანონპროექტის მიღების პროცესში მიღებული კონსულტაციები - განმარტებითი ბარათის სრული სექცია "დ" - არ ყოფილა კონსულტაციები.

4.13. წამყვანი კომიტეტის დასკვნა - დადებითად შეაფასა. გამოთქვა შენიშვნა, რომ პირბადის ტარების წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვროს ნაცვლად ინიცირებული 50 ლარისა 20 ლარის ოდენობით.

4.14. იმ კომიტეტის დასკვნა, რომელიც სავალდებულოა - სავალდებულო კომიტეტი არ ყოფილა განსაზღვრული, შესაბამისად, სავალდებულო კომიტეტის დასკვნა არ ახლავს.

4.15. რა ეტაპზეა კანონპროექტის განხილვა - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების პროექტი მიღებულია მესამე მოსმენით 2020 წლის 12 ივნისის პლენარულ სხდომაზე. გამოქვეყნდა 2020 წლის 12 ივნისს. სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების პროექტი მიღებულია მეორე მოსმენით 2020 წლის 11 ივნისის სხდომაზე.

შეფასება

22 მაისს გაუქმებული საგანგებო მდგომარეობის შემდგომ სახელმწიფომ დაიწყო დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქება. ვინაიდან ეს პაკეტიც ამ პოლიტიკის ნაწილია, დაჩქარებული წესით განხილვის გადაწყვეტილება დასაბუთებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს იზოლაციისა და კარანტინის წესების დარღვევისთვის დაწესებული ჯარიმები (ფიზიკური პირის შემთხვევაში - 3000 ლარი, იურიდიული პირის შემთხვევაში - 15 000 ლარი) მძიმე ტვირთად დააწვებოდა მოსახლეობას საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ.

5. „მაუწყებლობის შესახებ" კანონში ცვლილების პროექტი

5.1. კანონპროექტის ძირითადი არსი - შესაძლებელი ხდება მაუწყებლისა და ადმინისტრაციული ორგანოს _ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანამშრომლობით საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამების საზოგადოებისთვის მიწოდების უზრუნველყოფა. იგულისხმება „ტელესკოლის" მსგავსი პროგრამების მიწოდება. მოქმედი კანონით იკრძალება საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება ადმინისტრაციული ორგანოს, პოლიტიკური პარტიის, თანამდებობის პირისა და საჯარო დაწესებულების მიერ, გარდა ამავე კანონით დაწესებული

გამონაკლისებისა. ცვლილებით წესდება დამატებითი გამონაკლისი საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამებისთვის.

5.2. კანონპროექტის ინიციატორი - მთავრობა.

5.3. ავტორი - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

5.4. რეგისტრაციის თარიღი - 3 ივნისი, 2020.

5.5. ბიუროს გადაწყვეტილების თარიღი - 8 ივნისი, 2020.

5.6. დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა დაკმაყოფილდა თუ არა - ბიუროს 8 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა.

5.7. თუ დაკმაყოფილდა, მოსმენების განრიგი ამ გადაწყვეტილებით - ბიურომ გადაწყვიტა, რომ კანონპროექტები განხილული ყოფილიყო ერთ დღეს ორი მოსმენით.

5.8. დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები განმარტებითი ბარათის თანახმად - მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით შემდეგი გარემოებების გამო: როგორც ცნობილია, 2019–2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში საქართველოში სასწავლო პროცესი შეჩერდა საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით. ამ პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე მოქმედებდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული დროებითი წესები, რომლებიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესის დისტანციური, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით განხორციელების შესაძლებლობას. ამ პერიოდში სასწავლო პროცესში წარმატებით დაინერგა და გამოიყენება ისეთი სატელევიზიო პროგრამა, როგორიცაა „ტელესკოლა“. ეს პროგრამა საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ხორციელდებოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლობით. იმისათვის, რომ საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ კვლავ გაგრძელდეს „ტელესკოლის“ პროგრამა, კანონპროექტი ითვალისწინებს გამონაკლისს მსგავსი საგანმანათლებლო ან კულტურული პროგრამებისათვის, რათა ამ პროგრამებზე არ გავრცელდეს არსებული კანონით დადგენილი აკრძალვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მაუწყებლის დაფინანსებასთან/თანადაფინანსებასთან დაკავშირებით. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ საგანგებო მდგომარეობა საქართველოში ამ ეტაპისათვის გაუქმებულია, იმ მიზნით, რომ „ტელესკოლის“ პროგრამა უწყვეტ რეჟიმში გადაიცემოდეს და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით კვლავ მიეწოდებოდეს შესაბამის აუდიტორიას, აუცილებელია წარმოდგენილი კანონპროექტი მიღებული იყოს დაჩქარებული წესით.

5.9. კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი განმარტებითი ბარათის მიხედვით ამოქვეყნებისთანავე. ამასთან, კანონის მოქმედება გავრცელდება 2020 წლის 23 მაისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზეც.

5.10. კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური ან სხვა პირდაპირი შედეგები იმ პირებისთვის, ვისზეც გავრცელდება კანონპროექტი - კანონპროექტი დადებით გავლენას მოახდენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებზე, რომლებსაც საშუალება ექნებათ საგანმანათლებლო ხასიათის პროგრამებზე წვდომა ჰქონდეთ ტელევიზიის მეშვეობით. ასევე, იმ ადამიანურ რესურსზე, რომლებიც ჩართულნი იქნებიან ქვეპროგრამის

„ტელესკოლის“ ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების/აქტივობების განხორციელებაში.

5.11. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან - განმარტებითი ბარათის სრული სექცია - “გ” ქვეპუნქტი - არ ეწინააღმდეგება.

5.12. კანონპროექტის მიღების პროცესში მიღებული კონსულტაციები - განმარტებითი ბარათის სრული სექცია “დ” - არ ყოფილა კონსულტაციები.

5.13. წამყვანი კომიტეტის დასკვნა - წამყვანმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს შემდეგი დათქმით _ დაზუსტდეს კანონპროექტი იმგვარად, რომ იგი წინააღმდეგობაში არ მოვიდეს „საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ“ კანონის პრინციპებთან.

5.14. იმ კომიტეტის დასკვნა, რომელიც სავალდებულოა - სავალდებულო კომიტეტებად განისაზღვრა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტები. სავალდებულო კომიტეტების დასკვნები არ ახლავს.

5.15. რა ეტაპზეა კანონპროექტის განხილვა - კანონპროექტი მიღებულია მესამე მოსმენით 2020 წლის 12 ივნისის პლენარულ სხდომაზე, გამოქვეყნდა 2020 წლის 15 ივნისს.

შეფასება

ვინაიდან პანდემიის პირობებში კვლავ არის მოსალოდნელი სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვა, ხოლო საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ ამ პროგრამის გაგრძელება პირდაპირ არის დაკავშირებული მოქმედ კანონში ცვლილებასთან, კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილება არის დასაბუთებული.

6. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილების პროექტი, პაკეტი

6.1. კანონპროექტის ძირითადი არსი - პაკეტი აფართოვებს ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლებს საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა და სხვა სუბიექტთა მიმართ. კერძოდ, ეროვნულ ბანკს ენიჭება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს ზედამხედველობის უფლებამოსილება.[3]

6.2. კანონპროექტის ინიციატორი - მთავრობა.

6.3. ავტორი - მთავრობა.

6.4. რეგისტრაციის თარიღი - 8 ივნისი, 2020.

6.5. ბიუროს გადაწყვეტილების თარიღი - 9 ივნისი, 2020.

6.6. დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა დაკმაყოფილდა თუ არა - ბიუროს 9 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა.

6.7. თუ დაკმაყოფილდა, მოსმენების განრიგი ამ გადაწყვეტილებით - ბიურომ გადაწყვიტა, რომ კანონპროექტები განხილული ყოფილიყო ერთ დღეს ორი მოსმენით.

[3] საკანონმდებლო პაკეტი https://bit.ly/2YxDB2G [26.06.2020 14:29].

6.8. <u>დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები განმარტებითი ბარათის თანახმად</u> - საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 20 მარტს საკანონმდებლო პაკეტის სახით წარუდგინა პარლამენტს ინიციატივა „ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონსა და თანმდევ კანონებში ცვლილებების თაობაზე. მთავრობა იმ დროისთვის არ ითხოვდა დაჩქარებული წესით განხილვას. 21 მარტს ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო პარლამენტმა ვეღარ განიხილა პაკეტი. მთავრობამ 2020 წლის 8 ივნისს მიმართა პარლამენტს, დაჩქარებული წესით განეხილა პაკეტი, რათა დროულად ამოქმედებულიყო ეროვნული ბანკის საზედამხედველო მანდატი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის მიმართულებით.[4]

6.9. <u>კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი განმარტებითი ბარათის მიხედვით</u> - თავდაპირველად წარდგენილი პროექტით ამოქმედების თარიღად მითითებული იყო 2020 წლის 1-ლი მაისი. ვინაიდან მანამდე ვერ განიხილა პაკეტი პარლამენტმა, განხილვისას დაზუსტდა ამოქმედების თარიღი და განისაზღვრა „გამოქვეყნებისთანავე.“

6.10. <u>კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური ან სხვა პირდაპირი შედეგები იმ პირებისთვის, ვისზეც გავრცელდება კანონპროექტი</u> - კანონპროექტი ითვალისწინებს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა და ვიცე- პრეზიდენტთა რაოდენობის ზრდას. ამასთან, გაერთიანების შედეგად, სებ-ის თანამშრომელთა რიცხოვნობის გაზრდას. კანონპროექტის მიღება დადებით გავლენას მოახდენს ეროვნული ბანკის საბჭოს ახალი წევრის, ვიცე-პრეზიდენტის და ეროვნულ ბანკში გადაყვანილი თანამშრომლების ფინანსურ შედეგებზე, კერძოდ, გათვალისწინებულია ჯამურად, წლიური 400 000 ლარამდე (ვიცე-პრეზიდენტის სახელფასო ანაზღაურება, საბჭოს წევრობის დამატებითი სარგო, საბჭოს წევრებისა და გადაყვანილი თანამშრომლების დაზღვევა) რესურსის გამოყოფა საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტიდან. კანონპროექტი, ასევე, ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირების მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით, მის საფუძველზე ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების, წერილობითი მითითებების დარღვევის შემთხვევაში, მათ მიმართ გამოსაყენებელი სანქციები, მათ შორის, ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი, განისაზღვროს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით. აღნიშნულმა შესაძლოა, გავლენა მოახდინოს შესაბამის პირებზე ფულადი ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში. თუმცა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია კანონპროექტის გარდამავალი დებულებები, რომელთა თანახმადაც, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით ზედამხედველობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების გამოცემა ეროვნული ბანკის მიერ უნდა მოხდეს 2021 წლის 1-ლ იანვრამდე. აღნიშნული თარიღის განსაზღვრა განაპირობა სწორედ იმ

[4] https://bit.ly/2B3aTxN [26.06.2020 14:58].

გარემოებამ, რომ საკითხი საჭიროებს შესწავლას და მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკის გაანალიზებას. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აუდიტორებისათვის/აუდიტორული პირებისათვის/სერტიფიცირებულ ბუღალტერთათვის მათ მიერ კანონის მოთხოვნების (გარდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით) დარღვევა იწვევს პირთა დაჯარიმებას 5000 ლარის ფარგლებში, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებთან მიმართებაში (თუმცა ამ შემთხვევაში სპეციალურად ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით) გათვალისწინებულია 10 000 ლარიდან. სფეროში არსებული დარღვევები შესაძლებელი იყოს შემდეგი სახის: დადგენილ ვადებში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში აღრიცხვის ფორმის წარუდგენლობა; ეროვნული ბანკის ბრძანებით ან განკარგულებით განსაზღვრული შემოწმების დაწყების თარიღისათვის მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის დადგენილი ვადის დაუცველად წარდგენა; შემოწმების თაობაზე ეროვნული ბანკის ბრძანებით ან განკარგულებით განსაზღვრული შემოწმების დაწყების თარიღისთვის საეჭვო ან/და უჩვეულო ოპერაციასთან (გარიგებასთან) დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების განუხორციელებლობა; იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის პროცედურებით გათვალისწინებული შესაბამისი ზომების განხორციელების გარეშე ნებისმიერი პირისათვის მომსახურების გაწევა; პოლიტიკურად აქტიურ პირთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევის გამოვლენა; ინფორმაციის (დოკუმენტების) აღრიცხვისა და შენახვისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენა. აღნიშნული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ან/და შესაბამისი გარიგების პარტნიორის დაჯარიმებას ან/და რეესტრიდან ამოღებას. საჯარიმო სანქციების განსაზღვრა დამოკიდებული იქნება, პირველ რიგში, სფეროში არსებული დარღვევების კვლევაზე, შემდგომ კი პირთა მიმართ გავლენის ზუსტი ოდენობა დამოკიდებული იქნება ჩადენილ სამართალდარღვევათა ოდენობაზე. კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსურ შედეგს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის, ვინაიდან კანონპროექტის თანახმად, კანონპროექტი ამოქმედდება 2020 წლის 1-ლი მაისიდან და მოხდება სამსახურის რეორგანიზაცია მისი საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეერთების გზით, სამსახურის ფუნქციონირებისათვის 1-ლი მაისის შემდგომ ხარჯების გამოყოფა მოხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტის ფარგლებში. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებულია 1-ლი მაისის შემდგომ თანამშრომელთა მათივე თანხმობით საქართველოს ეროვნულ ბანკში უკონკურსოდ გადაყვანა არანაკლებ მათი სახელფასო ანაზღაურების ტოლფას თანამდებობებზე, შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გახდეს ფინანსური შედეგის გამომწვევი მის სისტემაში გათვალისწინებულ საშტატო ერთეულებთან სამსახურის თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურების შესაბამისობაში მოყვანის პროცესში. კანონპროექტი, ასევე, გავლენას ახდენს ეროვნულ ბანკზეც, რამეთუ მან უნდა უზრუნველყოს

შემფასებელთა ერთიანი საჯარო რეესტრის წარმოება ელექტრონული ფორმით და საშემოსავლო საქმიანობის განმახორციელებელი პირების ასახვა. ასევე, უნდა განხორციელდეს აღნიშნული სფეროს ფუნქციონირებისათვის საჭირო სტანდარტების თარგმნა. აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად დაახლოებით საჭირო იქნება 20 000 ლარამდე თანხის გამოყოფა საქართველოს ეროვნული ბანკისგან.

6.11. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან - განმარტებითი ბარათის სრული სექცია - "გ" ქვეპუნქტი - არ ეწინააღმდეგება.

6.12. კანონპროექტის მიღების პროცესში მიღებული კონსულტაციები - განმარტებითი ბარათის სრული სექცია "დ" - არ ყოფილა კონსულტაციები.

6.13. წამყვანი კომიტეტის დასკვნა - კომიტეტს არ მიაჩნია მიზანშეწონილად ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დაქვემდებარების შეცვლა. კომიტეტმა კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა იმ დათქმით, რომ კანონპროექტიდან ამოღებული იქნება ყველა ის მუხლი, ხოლო საკანონმდებლო პაკეტიდან ინიციატორის მიერ გაწვეული იქნება ყველა ის კანონპროექტი, რომლებიც უკავშირდება ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ეროვნული ბანკის დაქვემდებარებაში გადასვლას.

კომიტეტმა გამოთქვა შემდეგი შენიშვნები: 1. სათანადოდ არგუმენტირებული არ არის ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების _ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ეროვნული ბანკის დეპარტამენტად ჩამოყალიბების საკითხი. შესაბამის დასაბუთებას საჭიროებს, თუ რა არის დაქვემდებარების შეცვლის მიზეზი და რა პრობლემებია არსებული დაქვემდებარების პირობებში. აღსანიშნავია, რომ „სარასის" ეროვნული ბანკის იურისდიქციის ქვეშ გადასვლა გამოიწვევს ინტერესთა კონფლიქტს; 2. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სტანდარტები არის საყოველთაო და, შესაბამისად, კომიტეტს მიაჩნია, რომ ,,სარასი" უმჯობესია იყოს დამოუკიდებელი.

6.14. იმ კომიტეტის დასკვნა, რომელიც სავალდებულოა - სავალდებულო კომიტეტი იყო დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი, მისი დასკვნა არ ახლავს.

6.15. რა ეტაპზეა კანონპროექტის განხილვა - პაკეტი მიღებულია მესამე მოსმენით 2020 წლის 25 ივნისის პლენარულ სხდომაზე იმ დათქმითა და შენიშვნებით, რომლებიც ჰქონდა წამყვან კომიტეტს _ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. გამოქვეყნებული არაა.

შეფასება

წამყვანმა კომიტეტმა გამოხატა კრიტიკული დამოკიდებულება და მიუთითა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის უფლებამოსილების ეროვნული ბანკისთვის მინიჭების ნაწილში კანონპროექტის დაუსაბუთებლობაზე. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით ეროვნული ბანკის კომპეტენციის გაზრდა არ არის მხოლოდ ტექნიკური ან არაარსებითი ცვლილება,

არამედ ამავდროულად ეხება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებასაც. კერძოდ, იცვლება ამ ფუნქციის განმახორციელებელი სახელმწიფო უწყება, რომელსაც ისედაც აქვს საფინანსო სექტორის რეგულირების ფართო მანდატი. სახელმწიფო უწყებისთვის კომპეტენციის ზრდა და აქამდე არარსებული უფლებამოსილების მინიჭება მოითხოვს წარმომადგენლობით განხილვებს გონივრულ ვადაში და არა ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებას. ამდენად, დაჩქარებული წესით პაკეტის განხილვის გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული.

7. ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი, პაკეტი

7.1. კანონპროექტის ძირითადი არსი - პაკეტის შესაბამისად, განისაზღვრება ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის ახალი სახე _ აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდება, რაც გულისხმობს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების მიწოდებას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გაცემული ნებართვის საფუძველზე. აგრეთვე, პაკეტის თანახმად, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილი ხდება, სანებართვო პირობების შესრულების კონტროლის მიზნით დანერგოს კონტროლის ელექტრონული სისტემა შერჩეული პირის მეშვეობით და როგორც შემოწმების ფარგლებში, ასევე, მიმდინარე რეჟიმში გააკონტროლოს სანებართვო პირობების შესრულება. ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით ზუსტდება „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ მოქმედი კანონი.

7.2. კანონპროექტის ინიციატორი - მთავრობა.

7.3. ავტორი - ფინანსთა სამინისტრო.

7.4. რეგისტრაციის თარიღი - 10 ივნისი, 2020.

7.5. ბიუროს გადაწყვეტილების თარიღი - 15 ივნისი, 2020.

7.6. დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა დაკმაყოფილდა თუ არა - ბიუროს 15 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა.

7.7. თუ დაკმაყოფილდა, მოსმენების განრიგი ამ გადაწყვეტილებით - ბიურომ გადაწყვიტა, რომ პაკეტი განხილული ყოფილიყო ერთ დღეს ორი მოსმენით.

7.8. დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები განმარტებითი ბარათის თანახმად - კანონპროექტი მიზანშეწონილია განხილული იყოს დაჩქარებული წესით, ვინაიდან „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულია 2005 წელს და მასში წლების განმავლობაში მრავალი ცვლილება შევიდა. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი მიმართულებებით კანონი კვლავ ნაკლებად განჭვრეტადი ან/და მოძველებულია, შესაბამისად, ვერ უწყობს ფეხს სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას. აღნიშნული ეხება, როგორც მასში მოცემულ ზოგად პრინციპებს, ასევე, კონკრეტულ სანებართვო პირობებს. ამასთან, დღეის მდგომარეობით არ არსებობს მექანიზმი, რათა დადგინდეს ფინანსების რეალური მოძრაობა სათამაშო ბიზნესის სექტორში. წარმოდგენილი პროექტები ითვალისწინებს სათამაშო ბიზნესის კონტროლის ერთიანი სისტემის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის მიმდინარე რეჟიმში თითოეულ სათამაშო აპარატზე, სისტემურ-ელექტრონული

ფორმით მოწყობილ თამაშებზე და ტოტალიზატორში განთავსებული ფსონის შესახებ რეალურ დროში ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შეძლებს სათამაშო ბიზნესისთვის სწორი დაბეგვრის რეჟიმის შერჩევას, რაც, თავის მხრივ, დადებით გავლენას მოახდენს ბიუჯეტის შემოსულობებზე. გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი პროექტებით გათვალისწინებული ცვლილებების აღსრულება სსიპ შემოსავლების სამსახურმა უნდა განახორციელოს შერჩეული პირის მეშვეობით, რომელსაც, თავის მხრივ, სჭირდება გონივრული ვადა სისტემის გამართულად დანერგვისა და ოპერირებისთვის, მიზანშეწონილია წარმოდგენილი პროექტები საქართველოს პარლამენტის მიერ განხილული იყოს 2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე დაჩქარებული წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების საბოლოო იმპლემენტაცია დროში შეფერხდება, რაც დააყოვნებს სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიის ეფექტიან კონტროლსა და შესაბამისი თანმდევი ღონისძიებების განხორციელებას.

7.9. <u>კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი განმარტებითი ბარათის მიხედვით</u> - კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია რამდენიმე ეტაპად, კერძოდ: 1. გამოქვეყნებისთანავე ამოქმედება დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შერჩეული პირის უფლება-მოვალეობებთან და დაზუსტებითი ხასიათის ცვლილებები, რომლებიც დამატებით რეგულაციებს არ საჭიროებს; 2. 2020 წლის პირველი ოქტომბრიდან გათვალისწინებულია იმ რეგულაციების ამოქმედება, რომლებიც მოიცავს სათამაშო ბიზნესით დაკავებული სამეწარმეო სუბიექტების უფლება-მოვალეობებს, ამისთვის ბიზნესს ესაჭიროება დრო გასაცნობად და შესაბამისობაში მოსაყვანად; 3. 2021 წლის პირველი მარტიდან ამოქმედდება აზარტული ან/და მომგებიანი თამაშებობების მიწოდების ნებართვების აღებასთან დაკავშირებული რეგულაციები და შერჩეული პირის უფლება-მოვალეობები, რაც დაკავშირებულია სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული თამაშებისთვის ავტორიზაციის სერტიფიკატის გაცემასთან; 4. 2021 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედება გათვალისწინებულია იმ რეგულაციებისთვის, რომლებიც მოიცავს POS ტერმინალების და სათამაშო აპარატებზე სპეციალური მოწყობილობების დამონტაჟების ვალდებულებებისთვის.

7.10. <u>კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური ან სხვა პირდაპირი შედეგები იმ პირებისთვის, ვისზეც გავრცელდება კანონპროექტი</u> - კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს იმ პირებზე, რომლებსაც სურვილი ექნებათ განახორციელონ აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების მიწოდება, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა დაექვემდებარება ნებართვას და შესაბამისი მოსაკრებლის გადახდას (100 000 ლარის ოდენობით). ამასთან, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორისთვის დადგენილი დამატებითი ვალდებულებები და სანებართვო პირობები, ასევე, იქონიებს ფინანსურ გავლენას შესაბამის პირებზე, რომელთა ოდენობის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს ნებართვის მაძიებლების, თამაშობების ორგანიზატორების და აზარტული ან მომგებიანი თამაშების მიმწოდებლების მიერ შერჩეული პირისათვის საფასურების

გადახდის ვალდებულებას. კერძოდ, შერჩეული პირის მიერ ნებართვის მაძიებლის, თამაშობის ორგანიზატორის, თამაშების მიმწოდებლის ონლაინ სათამაშო სისტემის პირველადი კვლევისთვის (შემოწმებისთვის) და შესაბამისი ავტორიზაციის სერტიფიკატის გაცემისთვის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორთან ან/და თამაშების მიმწოდებელთან და მათ კონტრაქტორთან/აგენტთან განსათავსებელი მოწყობილობებისთვის/აღჭურვილობისთვის და კონტროლის/მონიტორინგის სისტემისთვის (ასევე მათი დამონტაჟებისთვის), ელექტრონული კონტროლის სისტემის ოპერირებისთვის (საოპერაციო საფასური), ტოტალიზატორის ორგანიზატორისთვის POS ტერმინალის მიწოდებისთვის ნებართვის მაძიებელი/ნებართვის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს საფასურ(ებ)ი. შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულების შემოღება ფინანსურ გავლენას იქონიებს სამეწარმეო სუბიექტებზე, რომლებიც ისარგებლებენ აღნიშნული მომსახურებით. მიუხედავად ამისა, ფინანსური გავლენის ზუსტი განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია, ვინაიდან შერჩეული პირისათვის გადასახდელი საფასურის დეტალური სახეობები, მათი ოდენობები, გადახდის პერიოდულობა და წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით. კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს, აგრეთვე, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მფლობელებზე (ვინც აიღებს ასეთ ნებართვას), კერძოდ, მათ მიერ სანებართვო პირობების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, ხოლო სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევა - 10 000 ლარის ოდენობით.

7.11. <u>კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან - განმარტებითი ბარათის სრული სექცია - "გ" ქვეპუნქტი</u> - არ ეწინააღმდეგება.

7.12. <u>კანონპროექტის მიღების პროცესში მიღებული კონსულტაციები - განმარტებითი ბარათის სრული სექცია "დ"</u> - არ ყოფილა კონსულტაციები.

7.13. <u>წამყვანი კომიტეტის დასკვნა</u> - დადებითად შეაფასა და მომზადებულად მიიჩნია პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით გასატანად.

7.14. <u>იმ კომიტეტის დასკვნა, რომელიც სავალდებულოა</u> - სავალდებულო კომიტეტად განსაზღვრული იყო საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, მისი დასკვნა არ ახლავს.

7.15. <u>რა ეტაპზეა კანონპროექტის განხილვა</u> - პაკეტი მიღებულია მესამე მოსმენით 2020 წლის 25 ივნისის პლენარულ სხდომაზე. გამოქვეყნებული არაა.

<u>შეფასება</u>

მართალია, ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების თანამედროვე სტანდარტებით რეგულირება და, ამ თვალსაზრისით, მოქმედი კანონის განახლება ლეგიტიმური მიზანი და მიზეზია, მაგრამ განმარტებით ბარათში არაა წარმოდგენილი დასაბუთება, რატომ ვერ მოახერხა მთავრობამ აქამდე პაკეტის ინიცირება და რატომ გახდა აუცილებელი მასშტაბურ ცვლილებებზე დაჩქარებული წესით მუშაობა. მსგავსი მიზეზი შეიძლება ნებისმიერი კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას დაედოს საფუძვლად და არ წარმოადგენს საგამონაკლისო ან განსაკუთრებულ მიზეზს. აქედან გამომდინარე,

დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული.

8. „თავდაცვის შესახებ“ კანონში ცვლილების პროექტი

8.1. კანონპროექტის ძირითადი არსი - მოქმედი კანონით თავდაცვის ძალებში საგამოძიებო უფლებამოსილება აქვს სამხედრო პოლიციას, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს კი ატარებს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია. ცვლილებით საგამოძიებო უფლებასილება ენიჭება თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციასაც და საგამოძიებო უფლებამოსილება ხდება თავდაცვის ძალებისა და სამოქალაქო ოფისის საერთო ფუნქცია.

8.2. კანონპროექტის ინიციატორი - მთავრობა.

8.3. ავტორი - თავდაცვის სამინისტრო.

8.4. რეგისტრაციის თარიღი - 11 ივნისი, 2020.

8.5. ბიუროს გადაწყვეტილების თარიღი - 22 ივნისი, 2020.

8.6. დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა დაკმაყოფილდა თუ არა - ბიუროს 22 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა.

8.7. თუ დაკმაყოფილდა, მოსმენების განრიგი ამ გადაწყვეტილებით - ბიურომ გადაწყვიტა, რომ კანონპროექტები განხილული ყოფილიყო ერთ დღეს ორი მოსმენით.

8.8. დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები განმარტებითი ბარათის თანახმად - საქართველოს პარლამენტის 2020 წლის საგაზაფხულო სესიის პერიოდისათვის შედგენილი კანონშემოქმედებითი გეგმის ფარგლებში გაწერილია თავდაცვის კოდექსის პროექტის ინიცირება, რომელიც ერთ-ერთ საკითხად ითვალისწინებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისათვის საგამოძიებო ქვემდებარეობის ფარგლებში დანაშაულთა გამოძიების ფუნქციის მინიჭებას. თავდაცვის კოდექსის პროექტის ინიცირებამდე მისი განხილვა იგეგმებოდა საჯაროდ, როგორც თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ შესაბამის ექსპერტებთან. ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც უკავშირდება ახალი კორონავირუსის (COVID - 19) პანდემიას, თავდაცვის კოდექსის პროექტის განხილვა საჯარო შეხვედრების ფარგლებში ვერ განხორციელდა, რამაც განაპირობა პროექტის ინიცირების გადადება გარკვეული ვადით. შესაძლებელია, მისი საჯარო განხილვა ვერ დასრულდეს საშემოდგომო სასესიო პერიოდისათვის. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისათვის საგამოძიებო ფუნქციის მინიჭება ამ ეტაპზე შესაძლებელია „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების განხორციელებით. ამდენად, მიზანშეწონილია წარმოდგენილი კანონპროექტი განხილული იყოს დაჩქარებული წესით.

8.9. კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი განმარტებითი ბარათის მიხედვით - გამოქვეყნებისთანავე.

8.10. კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური ან სხვა პირდაპირი შედეგები იმ პირებისთვის, ვისზეც გავრცელდება კანონპროექტი - კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

8.11. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან - განმარტებითი ბარათის სრული სექცია - "გ" ქვეპუნქტი - არ ეწინააღმდეგება.

8.12. კანონპროექტის მიღების პროცესში მიღებული კონსულტაციები - განმარტებითი ბარათის სრული სექცია "დ" - არ ყოფილა კონსულტაციები.

8.13. წამყვანი კომიტეტის დასკვნა - დადებითად შეაფასა და მომზადებულად მიიჩნია კანონპროექტი პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განსახილველად.

8.14. იმ კომიტეტის დასკვნა, რომელიც სავალდებულოა - სავალდებულო კომიტეტი განსაზღვრული არ ყოფილა.

8.15. რა ეტაპზეა კანონპროექტის განხილვა - კანონპროექტი მიღებულია მესამე მოსმენით 2020 წლის 25 ივნისის პლენარულ სხდომაზე. გამოქვეყნებული არაა.

შეფასება:

განმარტებით ბარათში მითითებული გარემოება, რომ პანდემიის გამო ვერ მოხერხდა დაგეგმილი „თავდაცვის კოდექსის" პროექტის ინიცირება, რომელიც გაითვალისწინებდა მოცემული ცვლილების პროექტით განსაზღვრულ საკითხსაც, არ არის პასუხი კანონპროექტის დაჩქარებულად განხილვის საჭიროებაზე. თუკი თავდაცვის კოდექსის ინიცირების გადადება შეიძლება, გაუგებარია, რატომ არ შეიძლება კონკრეტულად ერთი საკითხის - საგამოძიებო უფლებამოსილების გენერალური ინსპექციისთვის მინიჭების განხილვის გადადება. ამდენად, დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.

9. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

9.1. კანონპროექტის ძირითადი არსი - კანონის პროექტის თანახმად ახლებურად განიმარტება ტერმინები: „ფარმაცევტული პროდუქტი" და „ბიოლოგიურად აქტიური დანამატი". კანონის პროექტით რეგულირდება საქართველოში ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციასთან, აღიარებითი რეჟიმით რეგისტრაციის შეჩერებასთან, ფარმაცევტული პროდუქტის აღიარებითი რეჟიმით რეგისტრაციის ვადის გასვლასთან და აღიარებითი რეჟიმით რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე დაშვების ვადის გასვლასთან დაკავშირებული საკითხები. ხანგრძლივდება კანონმდებლობით დადგენილი სარეგისტრაციო პროცედურების ვადა.

9.2. კანონპროექტის ინიციატორი - საქართველოს მთავრობა

9.3. ავტორი - ჯანდაცვის სამინისტრო

9.4. რეგისტრაციის თარიღი - 16 ივნისი, 2020

9.5. ბიუროს გადაწყვეტილების თარიღი - 22 ივნისი, 2020

9.6. დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა დაკმაყოფილდა თუ არა - დაკმაყოფილდა

9.7. თუ დაკმაყოფილდა, მოსმენების განრიგი ამ გადაწყვეტილებით - განისაზღვრა 1 დღეს 2 მოსმენით განხილვა

9.8. დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები განმარტებითი ბარათის თანახმად - განმარტებითი ბარათის თანახმად, საკითხი დაჩქარებულად უნდა იქნას განხილული, რადგან „რამდენადაც საკითხი ეხება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული

ყველა რისკი მაქსიმალურად მოკლე დროში იქნეს აღმოფხვრილი და შემცირებული - კანონით გათვალისწინებული ყველა რეგულაცია იყოს მკაფიო და ქმედითი, რათა სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ შეძლოს თავისი მოვალეობების ეფექტიანად განხორციელება“

9.9. კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი განმარტებითი ბარათის მიხედვით - გამოქვეყნებისთანავე

9.10. კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური ან სხვა პირდაპირი შედეგები იმ პირებისთვის, ვისზეც გავრცელდება კანონპროექტი - ცვლილების მიხედვით, კანონში ჩნდება „აღიარებითი რეჟიმით“ რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციის შეჩერების სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნული შესაძლებელი იქნება საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების (FDA; EMA) მიერ კონკრეტული ფარმაცევტული პროდუქტის ხარისხის/უსაფრთხოების/ეფექტიანობის გაუარესებასთან დაკავშირებით ინფორმაციის განთავსების საფუძველზე, რა დროსაც, სახეზეა ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციის შეჩერების/ბაზრიდან გამოთხოვის საკითხი. შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრის შემდეგ, ხდება ბაზარზე ფარმაცევტული პროდუქტის ხელახალი მიმოქცევა.

9.11. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან - განმარტებითი ბარათის სრული სექცია - “გ” ქვეპუნქტი - არ არის მსგავსი რამ მითითებული განმარტებით ბარათში.

9.12. კანონპროექტის მიღების პროცესში მიღებული კონსულტაციები - განმარტებითი ბარათის სრული სექცია “დ” - არ არის მსგავსი რამ მითითებული განმარტებით ბარათში.

9.13. წამყვანი კომიტეტის დასკვნა - ჯერ არ არის წარმოდგენილი

9.14. იმ კომიტეტის დასკვნა, რომელიც სავალდებულოა - ჯერ არ არის წარმოდგენილი

9.15. რა ეტაპზეა კანონპროექტის განხილვა - ჯერჯერობით არსაიდან არაფერი არ ჩანს, არც კომიტეტს დაუდია დასკვნა და შესაბამისად არც პლენარულზე არ გასულა.

შეფასება:

წლებია არასამთავრობო სექტორი, დაინტერესებული პირები და ჯანდაცვის სექტორში მომუშავე ექსპერტები ითხოვენ აღნიშნული კანონმდებლობის დახვეწას, რათა ეფექტიანი იყოს წამლის ფარმაკოლოგიური ზედამხედველობა. ამ მხრივ, 2019 წლის გაზაფხულის სესიიდან მოყოლებული დღემდე ჯანდაცვის კომიტეტში მიმდინარეობს ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი, რომელსაც წინასწარი დასკვნა აქვს გამოქვეყნებული. ბოლო სესიის განმავლობაში, ამ მხრივ, არ არის რაიმე კონკრეტული მოვლენა მითითებული გამარტებით ბარათში, თუ რატომ შეიძლებოდა კანონის დაჩქარებული წესით განხილვა. ზოგადად, აღნიშნული კანონმდებლობა ყოველთვის კავშირშია ადმიანის ჯანმრთელობასთან და სიცოცხლესთან, შესაბამისად, ეს ვერ იქნება კანონპროექტების ყოველ ჯერზე დაჩქარებულად განხილვის საკმარისი საფუძველი.

10. **„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

10.1. კანონპროექტის ძირითადი არსი - ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დაწესებული შეზღუდვების შედეგად სახელოვნებოშემოქმედებითი და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე, სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეფერხდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსების ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე მომზადებისა და ჩატარების პროცედურები. კანონის პროექტით კი, ცვლილება შედის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში და 2020 წელს მოიხსნება ხსენებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად აბიტურიენტების მიერ კონკურსების ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გავლის პირობა

10.2. კანონპროექტის ინიციატორი - საქართველოს პარლამენტის წევრები: გენადი მარგველაშვილი, ალექსანდრე ქანთარია

10.3. ავტორი - საქართველოს პარლამენტის წევრები: გენადი მარგველაშვილი, ალექსანდრე ქანთარია

10.4. რეგისტრაციის თარიღი - 16 ივნისი, 2020

10.5. ბიუროს გადაწყვეტილების თარიღი - 22 ივნისი, 2020

10.6. დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა დაკმაყოფილდა თუ არა - დაკმაყოფილდა.

10.7. თუ დაკმაყოფილდა, მოსმენების განრიგი ამ გადაწყვეტილებით - განისაზღვრა 1 დღეს 2 მოსმენით განხილვა;

10.8. დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები განმარტებითი ბარათის თანახმად - განმარტებითი ბარათის თანახმად, საკითხი დაჩქარებულად უნდა იქნას განხილული, რადგან „სახელოვნებო-შემოქმედებითი და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე, სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2020 წელის ერთიანი ეროვნულ გამოცდების ჩატარების პერიოდის გათვალისწინებით თავიდან იქნეს აცილებული შესაბამისი კონკურსების ჩაშლის საფრთხე“

10.9. კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი განმარტებითი ბარათის მიხედვით - გამოქვეყნებისთანავე

10.10. კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური ან სხვა პირდაპირი შედეგები იმ პირებისთვის, ვისზეც გავრცელდება კანონპროექტი - კანონპროექტით მხოლოდ გამოცდების ჩატარების თარიღი იცვლება, რაც ისედაც არსებული ვალდებულებაა, შესაბამისად დამატებით ფინანსურ შედეგებს არ იწვევს.

10.11. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან - განმარტებითი ბარათის სრული სექცია - “გ” ქვეპუნქტი - არ არის მსგავსი რამ მითითებული განმარტებით ბარათში.

10.12. კანონპროექტის მიღების პროცესში მიღებული კონსულტაციები - განმარტებითი ბარათის სრული სექცია “დ” - არ არის მსგავსი რამ მითითებული განმარტებით ბარათში.

10.13. <u>წამყვანი კომიტეტის დასკვნა</u> - კომიტეტის დასკვნაში არ არის განხილული საკითხის დაჩქარებით განხილვის მიზეზი. მხოლოდ შეფასებულია მისი საჭიროება და თავდაცვის სამინისტროს პოზიცია.

10.14. <u>იმ კომიტეტის დასკვნა, რომელიც სავალდებულოა</u> - ასეთი არ არსებობს

10.15. <u>რა ეტაპზეა კანონპროექტის განხილვა</u> - მესამე მოსმენით მიიღეს და გადაგზავნილია პრომულგაციისთვის.

<u>შეფასება:</u>

დასაბუთებულია დაჩქარებულად განხილვის მოთხოვნა, რადგან უნივერსიტეტებში სტუდენტთა მიღება სექტემბრამდე უნდა გამოცხადდეს, ხოლო კანონი, ჩვეულებრივ რეჟიმში განხილვის შემთხვევაში, შემდეგი სესიისთვის გადაიდებოდა, რაც ხელს შეუშლიდა უნივერსიტეტებს სტუდენტების მიღებაში. დამატებით, კანონის მიღება გამოწვეულია პანდემიის მდგომარეობით, რაც არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო მასშტაბის ფორსმაჟორია.

მაგრამ, პრობლემურია დაინტერესებულ პირებთან საკითხის გახილვა. თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტზე განხილვისას გამოჩნდა, რომ საკითხი არ ყოფილა განხილული თავდაცვის სამინისტროსთან, რომლის შემადგენლობაშიც არიან სამხედრო სასწავლებლები. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა კომიტეტის სხდომაზე მოითხოვა რომ არ გავრცელებულიყო კანონი მათზე, რაც გათვალისწინებულ იქნა.

11. **„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

11.1. კანონპროექტის ძირითადი არსი - კანონპროექტით „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის №1 დანართით გათვალისწინებულ ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ნუსხას (I სია), ასევე, №2 დანართით (უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ნუსხა) გათვალისწინებულ ნარკოტიკულ საშუალებების ნუსხას ემატება გაეროს კომისიის შესაბამის გადაწყვეტილებებში განსაზღვრული ნარკოტიკული ნივთიერებები. კანონპროექტით ხდება შესაბამისი გადაწყვეტილების შიდაკანონმდებლობაში იმპლემენტაცია.

11.2. <u>ინიციატორი</u> - საქართველოს მთავრობა

11.3. <u>ავტორი</u> - ჯანდაცვის სამინისტრო

11.4. <u>რეგისტრაციის თარიღი</u> - 16 ივნისი, 2020

11.5. <u>ბიუროს გადაწყვეტილების თარიღი</u> - 22 ივნისი, 2020

11.6. <u>დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა დაკმაყოფილდა თუ არა</u> - დაკმაყოფილდა.

11.7. <u>თუ დაკმაყოფილდა, მოსმენების განრიგი ამ გადაწყვეტილებით</u> - განისაზღვრა 1 დღეს 2 მოსმენით განხილვა

11.8. <u>დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები განმარტებითი ბარათის თანახმად</u> - განმარტებითი ბარათის თანახმად, საკითხი დაჩქარებულად უნდა

იქნას განხილული, რადგან „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, კანონის სიებში ცვლილების ან/და დამატების შეტანის ერთ - ერთი საფუძველია გაეროს გენერალური მდივნის ოფიციალური შეტყობინება. შესაბამისად, ქვეყანა ვალდებულია, შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდგომ, დაიწყოს სიებში ცვლილების შეტანის პროცედურა. 2019 წლის განმავლობაში, გაეროს ნარკოტიკების ზედამხედველობის ბიურო, სხვადასხვა ქვეყნებისა და ორგანიზაციების მიმართვების საფუძველზე, განიხილავდა მოცემულ ნივთიერებებზე კონტროლის სპეციალური ღონისძიებების დაწესების საკითხს, შედეგად, წლის ბოლოსათვის, გაერომ შესაბამის კონვენციების თანდართულ სიებში ასახა მოცემული ნივთიერებები, რაზედაც შეტყობინებები დაეგზავნათ გაეროს წევრ ქვეყნებს, მათ შორის, საქართველოს. მოცემულ ეტაპზე, ხდება აღნიშნული ნივთიერებების ასახვა საქართველოს კანონმდებლობაზე.

11.9. <u>კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი განმარტებითი ბარათის მიხედვით</u> - გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს - პროექტის თანახმად, ახალი ნივთიერებები ემატება ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ნუსხას (პირველი სია), რომელთა გამოყენება ნებადართულია, მხოლოდ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო-დიაგნოსტიკური საქმიანობისათვის. მიმდინარე ეტაპზე, რეგულაციის არარსებობის პირობებში, შესაძლოა, შესაბამის უფლებამოსილ პირებს დაწყებული აქვთ თავიანთი საქმიანობისათვის საჭირო ახლად დამატებული ნივთიერებ(ებ)ის იმპორტის პროცედურა. შესაბამისად, მათ ეძლევათ 30 დღიანი ვადა იმპორტის დასრულების ან კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კანონპროექტით უკუძალა გათვალისწინებული არ არის

11.10. <u>კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური ან სხვა პირდაპირი შედეგები იმ პირებისთვის, ვისზეც გავრცელდება კანონპროექტი</u> - განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ კანონპროექტი არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, რამდენადაც წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის გაცემა, იმპორტიორის მხრიდან, არ უკავშირდება რაიმე სახის მოსაკრებლის, საფასურის ან სხვა გადასახდელის გადახდას

11.11. <u>კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან - განმარტებითი ბარათის სრული სექცია - “გ” ქვეპუნქტი</u> - ნარკოტიკული საშუალებების კომისიის 61-ე და 62-ე შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების (61/1; 61/2; 61/3; 61/4; 61/5; 61/6; 61/7; 61/8; 61/9; 61/10; 61/11; 61/12 და 62/1; 62/2; 62/3; 62/4; 62/5; 62/6; 62/7; 62/8; 62/9; 62/10; 62/11; 62/12) საფუძველზე გაეროს ,,ნარკოტიკული საშუალებების შესახებ“ 1961 წლის კონვენციის და „ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“ 1971 წლის კონვენციის და „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 1988 წლის კონვენციების თანდართულ სიებში განხორციელდა ცვლილება და სიებს დაემატა რამდენიმე ნივთიერება. 1961 წლის ,,ნარკოტიკული საშუალებების შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის, 1971 წლის „ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“ კონვენციის მე2 მუხლის მე-7

პუნქტის შესაბამისად, ასევე, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების მიზნით, გაეროს სიებში განხორციელებული ცვლილება უნდა აისახოს „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანდართულ სიებში

11.12. <u>კანონპროექტის მიღების პროცესში მიღებული კონსულტაციები - განმარტებითი ბარათის სრული სექცია “დ”</u> - არ არის მსგავსი რამ მითითებული განმარტებით ბარათში.

11.13. <u>წამყვანი კომიტეტის დასკვნა</u> - კომიტეტის დასკვნაში არ არის განხილული საკითხის დაჩქარებით განხილვის მიზეზი. მხოლოდ შეფასებულია მისი საჭიროება.

11.14. <u>იმ კომიტეტის დასკვნა, რომელიც სავალდებულოა</u> - ასეთი არ არსებობს

11.15. <u>რა ეტაპზეა კანონპროექტის განხილვა</u> - მესამე მოსმენით მიიღეს და გადაგზავნილია პრომულგაციისთვის.

<u>შეფასება:</u>

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, უპირატესი ძალა აქვს შიდაკანონმდებლობასთან მიმართებით. გამომდინარე აქედან, გაეროს მიერ მიღებული ცვლილებები ავტომატურად მოქმედებს საქართველოში. დამატებით, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, პირდაპირ მიუთითებს გაეროს მიერ შედგენილ სიებს, როგორც კანონის ნაწილს. გამომდინარე აქედან, იმ ფონზე, რომ გაეროს მიერ მიღებული ცვლილება ისედაც მოქმედი კანონმდებლობა იყო საქართველოში, დაუსაბუთებელია რატომ გახდა საჭირო მისი იმპლემენტაცია დაჩქარებულ რეჟიმში.

აგრეთვე, ეს კანონპროექტი შეიძლება შეეხოს მათ ვინც ახორციელებს ხსენებული პროდუქტების იმპორტს თუნდაც სასწავლო მიზნებისთვის. აქედან გამომდინარე ეს მათ შეუზღუდავს სამეწარმეო საქმიანობას, რაც განმარტებით ბარათში არ არის მოცემული.

12. **„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

<u>12.1.</u> <u>კანონპროექტის ძირითადი არსი</u> - კანონპროექტით მარტივდება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სამედიცინო დაწესებულებათა კონტროლი. კანონპროექტით, მაგრამ ყველაზე განსაკუთრებული არის „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ კანონში ცვლილები, რომლის მიხედვითაც, სასამართლო ბრძანების საფუძველზე მეწარმის შემოწმების მოთხოვნა აღარ გავრცელდება ჯანდაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოზე. აგრეთვე, პროექტით განისაზღვრება მაღალი

რისკის მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის მიმწოდებლის ვალდებულება ყოველწლიურად სააგენტოსთვის. იზრდება ჯარიმების მოცულობა სამედიცინო საქმიანობის წესების დარღვევისთვის.

12.2. ინიციატორი - საქართველოს მთავრობა

12.3. ავტორი - ჯანდაცვის სამინისტრო

12.4. რეგისტრაციის თარიღი - 16 ივნისი, 2020

12.5. ბიუროს გადაწყვეტილების თარიღი - 22 ივნისი, 2020

12.6. დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა დაკმაყოფილდა თუ არა - დაკმაყოფილდა.

12.7. მოსმენების განრიგი ამ გადაწყვეტილებით - განისაზღვრა 1 დღეს 2 მოსმენით განხილვა

12.8. დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები განმარტებითი ბარათის თანახმად - მიზანშეწონილია, წარმოდგენილი პროექტის საქართველოს პარლამენტში განხილვის პროცედურები წარიმართოს დაჩქარებული წესით, რათა პროექტი მიღებული და ამოქმედებული იქნეს გონივრულ ვადებში. არსებული პრაქტიკისა და რეალობის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედი რეგულაციები (სალიცენზიო/სანებართვო/მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის კონტროლის, ასევე, სამართალდარღვევათა მიმართულებით) რიგ შემთხვევაში, სათანადოდ და ეფექტიანად ვერ რეაგირებენ შესაბამის გამოწვევებზე, ვერ ახდენენ შესაბამის ზეგავლენას, რათა მომავალში მოხდეს ხარისხიანი და უსაფრთხო სამედიცინო სერვისების მიწოდება, სამართალდარღვევის ფაქტების პრევენცია და ა.შ. რა დროსაც, გასათვალისწინებელია, რომ საკითხი ეხება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული ყველა რისკი მაქსიმალურად მოკლე დროში იქნეს აღმოფხვრილი და შემცირებული - კანონით გათვალისწინებული ყველა რეგულაცია იყოს ქმედითი და სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ შეძლოს თავისი მოვალეობების ეფექტიანად განხორციელება, კონტროლის შესაბამისი ღონისძიებების დროულად შემოღების საფუძველზე.

12.9. კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი განმარტებითი ბარათის მიხედვით - გამოქვეყნებისთანავე

12.10. კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური ან სხვა პირდაპირი შედეგები იმ პირებისთვის, ვისზეც გავრცელდება კანონპროექტი - განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ ეს ცვლილება შესაძლოა იწვევდეს გაზრდილ ხარჯებს, სამედიცინო დაწესებულებათა მიმართ. იზრდება ჯარიმები; სამედიცინო დაწესებულებებს დამატებით დოკუმენტაციების წარდგენის ვალდებულება ეზრდება; მარეგულირებელს უფლებამოსილება ენიჭება შეაჩეროს სამედიცინო დაწესებულება;

12.11. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან - განმარტებითი ბარათის სრული სექცია - "გ" ქვეპუნქტი - არ არს მითითებული განმარტებით ბარათში

12.12. <u>კანონპროექტის მიღების პროცესში მიღებული კონსულტაციები - განმარტებითი ბარათის სრული სექცია "დ"</u> - არ არის მსგავსი რამ მითითებული განმარტებით ბარათში.

12.13. <u>წამყვანი კომიტეტის დასკვნა</u> - არ არის ჯერ წარმოდგენილი

12.14. <u>იმ კომიტეტის დასკვნა, რომელიც სავალდებულოა</u> - არ არის ჯერ წარმოდგენილი

12.15. <u>რა ეტაპზეა კანონპროექტის განხილვა</u> - კომიტეტებმა განიხილეს, მაგრამ ჯერ პლენარულზე არ გასულა.

<u>შეფასება:</u>

წარმოდგენილი კანონპროექტით მნიშვნელოვნად მცირდება სამეწარმეო თავისუფლების სტანდარტი ქვეყანაში. სასამართლო კონტროლის შემცირება, აღმსრულებელ ხელისუფლებასთან პირისპირ ტოვებს მეწარმე სუბიექტს, რაც მის დაცულობას ამცირებს.

აგრეთვე, ჯანდაცვის სამინისტრო დარგში ცვლილებებს გეგმავს დაინტერესებული პირების ჩართვის გარეშე. საკომიტეტო სხდომების დროს კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ სამედიცინო დაწესებულებები არ იყვნენ ჩართული მათ სფეროში ახალი რეგულაციების მიღების შემუშავებისას.

რაც შეეხება დაჩქარებულად საკითხის განხილვის მოთხოვნას, ზოგადად საკითხის ჯანმრთელობასთან ან ადამიანის სიცოცხლესთან კავშირის მითითება არ არის დაჩქარებით მოთხოვნის საკმარისი საფუძველი. განმარტებით ბარათში არ არის მითითებული კონკრეტული გარემოება, რაც უშუალოდ კავშირშია კანონპროექტის პაკეტის დაჩქარებული წესით განხილვასთან, შესაბამისად მოთხოვნა დაუსაბუთებელია.